

ლომთაძე თამარი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
გოგოლაშვილი გიორგი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ებრაელთა ქართული - ქართველური ენობრივი სივრცისა და „ებრაელთა ენების“ ნაწილი

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით. გრანტის ნომერი FR -21-4768, „ქართველ ებრაელთა მეტყველების
სტატუსი და მისი ადგილი ქართველურ ენობრივ სივრცეში“

ქართველ ებრაელთა ქართული მეტყველების შესწავლა რომ საშური და აუცილებელი
საქმეა (როგორც ქართველოლოგიის, ასევე სემიტოლოგიის, თეორიული ლინგვისტიკის,
სოციოლინგვისტიკის, დიალექტოლოგიისა თუ კულტუროლოგიის თვალსაზრისით), ამაზე
დღეს არავინ დაობს. მიუხედავად ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი ჰარმონიული და
მეგობრული თანაცხოვრებისა, ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა საკმაოდ გვიან
დაიწყო, კერძოდ, მეოცე საუკუნის ბოლოს; მაგრამ ამ მოკლე პერიოდში საკმაო რაოდენობით
დამუშავდა თეორიული ნაშრომებიც და შეიკრიბა ემპირიული მასალაც... კვლევებმა ნათლად
წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლებიც ქართველ ებრაელთა მეტყველებასთან არის
დაკავშირებული. უპირველესად პასუხის გაცემას მოითხოვს კითხვა: **რა არის ქართველ
ებრაელთა მეტყველების სტატუსი?** ეს პრობლემა საინტერესოა, ერთი მხრივ, **ქართული
დიალექტოლოგიის პოზიციებიდან** და, მეორე მხრივ, **„ებრაული ენების“ გადასახედიდან:
ებრაელთა მეტყველების სტატუსის გარკვევის გარეშე ვერ მოხერხდება ქართველური ენობრივი
სივრცის სრულყოფილი აღწერა; ასევე შეუძლებელი იქნება მსოფლიო „ებრაელთა ენების“
არსებულ კლასიფიკაციაში. ქართველ-ებრაელთა მეტყველების ადგილის განსაზღვრა.**

რა ენობრივი ნაისახეობაა „ებრაელთა ქართული“? რა ტერმინებით აღინიშნება ეს ცნება?

ქართველ ებრაელთა მეტყველება რომ განსხვავდებოდა არაებრაელთა მეტყველებისაგან
საქართველოში ეს კარგად იცოდნენ, ამიტომ ქართველ ებრაელთა განსხვავებულ ქართულს
ხალხმა **ყივრული (/ყიურიული)** უწოდა. ყივრული არ იყო ნეიტრალური კონოტაციის ტერმინი;
ის უარყოფითი/დაცინვის შინაარსის მატარებელი ერთეული გახლდათ. მოგვიანებით ყივრულის
გვერდით გაჩნდა ტერმინები **ურიული** და **ისრაელური**. ამ ტერმინებს ებრაელთა მეტყველების
ნაირსახეობის აღსანიშნავად იყენებდნენ არაებრაელები. ებრაელები თავიანთი მეტყველების
აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს **ჩვენებურული**. ეს ტერმინი ძირითადად ნეიტრალური
კონოტაციის იყო (ზოგჯერ მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი ებრაელები
„ჩვენებურულ“ კილოს თაკილობდნენ – დამამცირებლად მიიჩნევდნენ. მაგალითად, ასეთი
ფაქტი დავადასტურეთ: მამამ შვილს უსაყვედურა, ჩვენებურულად რატომ ლაპარაკობ,

ქართულად ისაუბრო). ისრაელში ქართველ ებრაელთა მასობრივი დაბრუნების შემდეგ ებრაელთა ქართულის აღსანიშნავად გაჩნდა ტერმინი **გრუზინული**.

მე-20 საუკუნის ბოლოს, როცა ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებების კვლევას მიექცა ყურადღება, სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინები **ებრაელთა მეტყველება, ებრაელთა ეთნოლექტი, ებრაელთა ეთნოსოციოლექტი**. მოგვიანებით ებრაელთა ქართულის მკვლევარმა რეუვენ ენობმა და თამარ ლომთაძემ გამოიყენეს ტერმინი **ებრაელთა ქართული** (ენობი 2016; ლომთაძე, ენობი 2019), იმ მეტყველების ნაირსახეობის აღსანიშნავად, რომლითაც საუბრობდნენ საქართველოში მცხოვრები ებრაელები და რომელიც გახლდათ მათი იდენტობის ერთ-ერთი ნიშანი.

ებრაელთა ქართული – ქართველური ენობრივი სივრცის ნაწილი

საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული იყო, რომ ებრაელებმა დაივიწყეს მშობლიური ენა და ქართული იყო მათი საკომუნიკაციო, ხოლო ებრაული – ლოცვის ენა. როგორც რ. ენობი ვარაუდობს, სწორედ ეს უნდა გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ მე-12 საუკუნისათვის საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა თარგმნეს თორა და ჰქონდათ თორის ზეპირი ქართული თარგმნი, რომელსაც „თავსილი“ ეწოდებოდა (ენობი 2008). „თავსილის“ ტექსტი ენობრივად არაა ერთგვაროვანი: მასში გვხვდება ძველი ქართულის ფორმებიც, ახალი ქართულისაც და ებრაელთა ქართულისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც, როგორც გრამატიკულ, ასევე ლექსიკურ დონეზე. თავსილის ტექსტი თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი გზით, მისი ჩაწერა რეუვენ ენობმა მხოლოდ 21-ე საუკუნის დასაწყისში შეძლო. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო თავსილი ენობრივი თვალსაზრისით თავდაპირველად. მაგრამ ფაქტია, რომ თავსილის ენა განსხვავდება არაებრაელთა ქართულისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემებით ებრაელები საბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის 1.1 პროცენტს შეადგენდნენ, ებრაელთა ქართულის, როგორც ქართული ენის ნაირსახეობის შესახებ არ არის საუბარი ქართულ დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში. მეოცე საუკუნის 40-იან წლებში როზა თავდიდიშვილმა ქუთაისში მცხოვრები ებრაელებისაგან ჩაიწერა ტექსტები (რომლებიც ხელნაწერი სახით შემოგვენახა). ამ მასალაში კარგად ჩანს მათი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. საბჭოთა პერიოდში ებრაელთა შესახებ უფრო ისტორიული ხასიათისა გამოკვლევები იბეჭდებოდა. ენობრივი კვლევები ძალიან მცირე რაოდენობით იყო (იხ. ბაბალიკაშვილი 1971; წერეთელი 1979; დუმბაძე 1979; შამელაშვილი 2021 და სხვები).

გასული საუკუნის 70-ანი წლებიდან დაიწყო ებრაელთა „ალიები“ (მასობრივი დაბრუნება) ისრაელში. საუკუნეთა გასაყარზე ისრაელში გამოჩნდა ერთეული ნაშრომები ებრაელთა ქართულის შესახებ. აღნიშნული კვლევები (იხ. ბენ-ორენი 1993; ენობი 2008; ლერნერი 2008...) ძირითადად შეეხებოდა ქართველ ებრაელთა მეტყველების მიმართებას ქართული ენის ნაირსახეობებთან.

ცნობილია, ებრაელთა პირველი ნაკადი საქართველოში ძვ. წ-ის VI ს-ში მოვიდა (მამისთვალაშვილი 2014; ყაუხჩიშვილი 1955, 1973; ჭიჭინაძე 1904; მელიქიშვილი 1970; ლერნერი

2008; ენოხი 2016). არ შეგვიძლია ვთქვათ, როგორი იყო ძველ საქართველოში ებრაელთა განსახლების მასშტაბი და გეოგრაფია, მაგრამ ზუსტად შეგვიძლია ვისაუბროთ XX საუკუნის რეალობაზე. ფაქტია: ებრაელთა კომპაქტური დასახლებები არსებობდა მთელ საქართველოში, გარდა სვანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა. შესაბამისად, ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქართველურ დიალექტურ გარემოში: ქართლურში (სურამი, ქარელი, გორი, ცხინვალი...), კახურში (წინოწმინდა), იმერულში (ქუთაისი, კულაში, ვანი, საჩხერე), რაჭულში (ონი), ლეჩხუმურში (ლაილაში), მესხურში (ახალციხე), აჭარულში (ბათუმი), მეგრულში (ბანძა, სუჯუნა, ფოთი, სენაკი); ებრაელები მოსახლეობდნენ ასევე აფხაზეთში (სოხუმი), დედაქალაქ თბილისში და საქართველოს ზოგ სხვა რაიონში შედარებით მცირე რაოდენობით, სადაც კომპაქტურ დასახლებებს ვერ ქმნიდნენ (ზესტაფონში, ტყიბულში, ოზურგეთში და სხვა).

როგორც ითქვა, საუკუნეთა მიჯნაზე იწყება ებრაელთა ქართულის ინტენსიური კვლევა საქართველოსა და ისრაელში (იხ. ბენ-ორენი 1993; ენოხი 2007; 2008; 2016; ლომთაძე 2005; 2010; ლომთაძე, ენოხი 2019 და სხვები). ებრაელთა ქართული, რომელიც საქართველოში მათი ცხოვრების პერიოდში ჩამოყალიბდა, როგორც ებრაელთა ენობრივი იდენტობის ნიშანი, სოციალურად ძალზე დიფერენცირებული იყო. ამიტომ აღნიშნულ შრომებში ლინგვისტური მაჩვენებლების გარდა ყურადღებაა გამახვილებული გეოგრაფიული, სოციალური და რელიგიური განზომილებების მიმართებაზე ლინგვისტურ ცვლადებთან.

ინტენსიურმა კვლევებმა გააჩინა ებრაელთა ქართულისათვის სტატუსის მინიჭების საჭიროება. საკითხის დასმისათვის საფუძველი მოამზადა ამ პერიოდის ფოლსვაგენის ფონდისა თუ თუ რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებულმა პროექტებმა: „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ (ფოლსვაგენის ფონდი 2006-2009), „ებრაელთა იდენტობა საქართველოში გლობალიზაციის გარიჟრაჟზე“ (2013-2016), „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში 2016-2019 (რუსთაველის ფონდი). კვლევებმა ცხადყო, რომ ებრაელთა მეტყველება ეფუძნებოდა იმ ქართულ დიალექტს, რომლის გარემოცვაშიც არსებობდა ის, მაგრამ ამასთანავე „ქმნიდა“ განსხვავებას მისგან სწორედ ქართული ენობრივი საშუალებებით და უხვად სარგებლობდა ებრაულ/არამეული ლექსიკით. ებრაელები ძირითადად ცხოვრობდნენ ქალაქებსა და ურბანულ ზონებში, რომლებიც ურბანიზაციისათვის დამახასიათებელი კონინეს არსებობით გამოირჩევა. ებრაელთა ქართული მეტყველება ასეთ შემთხვევაში შეიძლება სწორედ იმ დიალექტური ნორმის მატარებელი ყოფილიყო და არა ქალაქური ნორმისა. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ქართველურ ენობრივ სივრცესთან ებრაული მეტყველების მიმართება საკმაოდ რთული და არაერთგვაროვანია.

ქართველურ ენობრივ სივრცესთან მიმართებით არსებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ქართველი ებრაელები ყველა რეგიონში ლაპარაკობენ იმავე ენაზე, რომელზეც თანატერიტორიული არაებრაელები, მაგრამ ზოგჯერ საუბარში შემოაქვთ ებრაულ-არამეული ელემენტები, მიგრაციული დიალექტიზმები, არქაიზმები და სხვაობს (ზოგჯერ ძალიან მცირედით) გარემომცველი დიალექტის ინტონაციით (ლომთაძე, ენოხი, ჯანჯღავა 2023).

ებრაელთა ქართულისათვის ქართველურ ენობრივ სივრცეში სტატუსის მინიჭების თვალსაზრისით მთავარი კითხვებია:

ა) სხვადასხვა კუთხის ქართველ ებრაელთა მეტყველება ერთი ნაირსახეობაა ქართული ენისა თუ არა?

ბ) როგორია სხვადასხვა კუთხის ქართველ ებრაელთა მეტყველების მიმართება იმ ქართულ დიალექტთან, რომლის წიაღშიც ის არსებობს?

დღეს ებრაელთა ქართული საქართველოში ნაკლებად ისმის. ადგილობრივი მცირე თემი სპეციფიკურ მოვლენებს თითქმის აღარ იყენებს. მისი მოსმენა ძირითადად ისრაელში, რუსეთსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ გახდა შესაძლებელი. საზღვარგარეთაც ახალგაზრდა თაობას მას თითქმის აღარ გადასცემენ. იგი საფრთხეში მყოფი ნაირსახეობაა.

ებრაელთა ქართული ებრაელთა ენების კლასიფიკაციაში

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულმა ებრაელთა მკვლევარებმა აქტიურად დაიწყეს მუშაობა „ებრაელთა ენების“ შესახებ. მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა „ებრაელთა ენების“ შედარებითი ლინგვისტიკა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ (იხ. Benor 2008; Birnbaum, 1937, 1971; Blau 1965; Blondheim, 1925; Bunis 1981; Bunis, David 2009; Cassuto, 1932.; Estraiikh 2007; Fishman 1981; Gindin 2002; Gold 1985; Harris 1994, Hary, & Wein, 2005; Lowenstein, 2000; Mieses, 1915; Morag, Bar-Asher & Mayer-Modena, 1999; Paper, 1978; Rabin, 1981, Rabin, et al. 1979; Spolsky, & Benor, 2006; Weinreich, 1953, 1956; Weinreich, Reyzen, & Broyde, 1931; Wexler, 1981 და სხვა). თუმცა ჯერ რუსეთისა და შემდგომ საბჭოთა იმპერიების ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკის გამო ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა საერთო მიზანს ამჯერადაც გამოეთიშა და მხოლოდ 21-ე საუკუნეში გახდა შესაძლებელი. კვლევების გაცნობისა და შესაბამის ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობამ ნათელი გახადა, რომ ებრაელთა ქართულს ბევრი საერთო აქვს „ებრაელთა ენებში“ გაერთიანებულ სხვა ებრაულ ენებთანაც. ამიტომ კვლევის მიზანი უკვე არა მხოლოდ ქართველურ ენობრივ სისტემაში ებრაელთა ქართულის სტატუსია, არამედ **„ებრაელთა ენების“ კლასიფიკაციაში მისი ადგილის განსაზღვრა**. ეს გზა გასავლელია, რაც, ერთი მხრივ, (ქართული?) ლინგვისტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება და, მეორე მხრივ – პრესტიჟი.

გაჩნდა ერთეული სტატიები ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ. მაგ., სტატია ბრილის გამომცემლობაში მომზადებულ წიგნში „ებრაელთა ენები“ (ენოხი 2016); სტატია ებრაელთა ენების ჟურნალში (ლომთაძე, ენოხი 2019); გამოკვლევები ქართველ ებრაელთა ლინგვისტური თავისებურებების შესახებ გამოჩნდა ებრაელთა ენების ვებგვერდზე (<https://www.jewishlanguages.org/judeo-georgian>).

აღმოჩნდა, რომ იმგვარი მოვლენები, რომლებიც ებრაელთა ქართულში უხვადაა წარმოდგენილი (ებრაიზმები/არამეიზმები, მიგრაციული დიალექტიზმი, ან არქაიზმები და სხვა), არც სხვა ებრაული ენებისთვისაა უცხო. დაიწყო პარალელების გავლება სხვა ებრაულ ენებთან, რომლებსაც თავიანთ ქვეყნებში უკვე აქვთ **სტატუსი ენისა ან დიალექტისა, ან კონტინუუმის ნაშთისა...** ქართველ ებრაელთა ქართულისათვის სტატუსის მინიჭება მომავალში საშუალებას მოგვცემს ებრაელთა ქართულს ადგილი მივუჩინოთ ებრაელთა ენების კლასიფიკაციაში, რომელიც ვექსლერის (1981) კლასიფიკაციით რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

(ა) ენები, რომლებიც „ენის ჯაჭვის მეშვეობით უკავშირდებიან სალაპარაკო პალესტინურ ებრაულს (მაგ. იდიში)“;

(ბ) ენები, რომლებსაც არა აქვთ ებრაული სუბსტრატი, მაგრამ „შემდგომში იძენენ ებრაულ იდენტობას“, როდესაც ებრაელები ან არაებრაელები დიალექტებს ინაცვლებენ; როდესაც ებრაელები გადადიან ახალ ენობრივ არეალში (მაგალითად, ბაღდადის იუდეო-არაბული);

(გ) კალკირებული (სიტყვასიტყვით) თარგმნის ენები (მაგალითად, ლადინო, იუდეო-ესპანურის თარგმნითი სახეობის ტექნიკური ტერმინი);

(დ) „სიტუაციები, როდესაც ებრაელები ყველა რეგიონში ლაპარაკობენ იმავე ენაზე, რომელზეც თანატერიტორიული არაებრაელები, მაგრამ ზოგჯერ საუბარში შემოაქვთ ებრაულ-არამეული ან ებრაული ელემენტები“ (მაგალითად, ებრაული ინგლისური) (ვექსლერი 1981).

ისმის კითხვა, არის თუ არა ებრაელთა ქართული დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა? რა თქმა უნდა, არა; მაგრამ სარა ბენორის მიხედვით, ებრაული ენების კატეგორიაში ენობრივი სახესხვაობების შეყვანის კრიტერიუმები არ არის უნივერსალური; ბევრ შემთხვევაში ძნელია განასხვაო ენა და დიალექტი, თუმცა ითვალისწინებენ რა, რომ ამა თუ იმ ნაირსახეობის განსაზღვრა ენად და დიალექტად მხოლოდ ლინგვისტურ კრიტერიუმებს არ ემყარება და ძალიან ხშირად სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს ეწევა ანგარიში, ყველა ნაირსახეობას აერთიანებენ ტერმინით „ებრაელთა ენები“. სწორედ ამიტომ შეიძლება ებრაელთა ენებში გავაერთიანოთ ქართულზე დაფუძნებული ვარიანტი ებრაელთა მეტყველებისა - ებრაელთა ქართული. მით უფრო, რომ მსოფლიოში არსებობს გამოცდილება ერთსა და იმავე ენობრივ ნაირსახეობას ჰქონდეს დიალექტის და ენის სტატუსი ერთდროულად (გააჩნია, რა ენობრივ სივრცეშია იგი მოქცეული, მაგალითად, ქართველურ ენობრივ გარემოში ებრაელთა ქართული განიხილება როგორც ქართულის ერთ-ერთი დიალექტური ნაირსახეობა, ხოლო ისრაელის ეთნიკურ მოზაიკაში იგი ერთ-ერთი ებრაული ენაა, იცევე როგორც მაგალითად ებრაელთა ინგლისური. ასეთივე დამოკიდებულებაა მაგალითად ლატვიაში არსებული ლივონური დიალექტი/ენის მიმართ და სხვა).

სარა ბენორი გამოყოფს 11 ლინგვისტურ თვისებას, რომელიც თითქმის ყველა ებრაელეთა ენას ახასიათებს (ბენორი 2008). თითქმის ყველა ამ თვისების მატარებელია ებრაელთა ქართული. ზოგი მათგანი მასში უხვადაა წარმოდგენილი, ზოგიც - ნაკლებად.

ძველი ებრაულ/არამეული გავლენები: ქართველ ებრაელთა ლინგვისტური რეპერტუარი განიცდის ბიბლიური ებრაულისა და წმინდა წიგნების ებრაულის გავლენებს. ამას მოწმობს ებრაელთა ქართულში გავრცელებული ბიბლიური თუ სხვა რელიგიური ლექსიკა (მაგალითად, აგადა, შაბათი, თალმუდი, თეფილინი და სხვა)...

სუბსტრატული გავლენები: ქართველ ებრაელთა ლინგვისტური რეპერტუარი მოიცავს უძველესი ებრაულის გავლენებს, რომელიც ისმოდა მათ მიგრაციამდე. ამას მოწმობს ქართველ ებრაელთა მიერ გამოყენებული ის სიტყვები, რომლებშიც ებრაული ხ გამოითქმის როგორც „ბ“ და არა როგორც „ვ“. მაგალითად, ტობე, განაბი... (დუმბაძე 1979).

ისრაელური ებრაულის გავლენები: ქართველ ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი მოიცავს თანამედროვე ებრაულის გავლენებს, რომლებიც კიდევ უფრო გაიზარდა გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდეგ. ქართველ ებრაელთა მეტყველებას გაიზარდა თანამედროვე ებრაულისათვის დამახასიათებელი სიტყვების გამოყენების შემთხვევები, მაგალითად, თოარ რიშონი, თოარ შენი, ახოთ მასით, მიშმერეთ, კიცონი...

ადსტრატული გავლენები: ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი მოიცავს სხვა ენების გავლენებსაც, განსაკუთრებით თანამედროვე თანატერიტორიული ენების გავლენებს. ებრაელთა ქართულში გახშირდა ებრაული ლინგვისტური მარკერების გამოყენება ქართულ სიტყვებთან (მაგალითად, აუდიტორიუმი – შდრ. ქართ. აუდიტორია; იერუმალაიმი – იერუსალიმი). ასევე ებრაულის გავლენით ზოგი ქართული გამოთქმა შეიცვალა; მაგალითად, გამოთქმა „ჩემს იღბალზე“. საქართველოში ცხოვრების პერიოდში ისინი იყენებდნენ ქართულში გავრცელებულ ფრაზას „ჩემს ბედზე“. ებრაულში ბედი და იღბალი ერთი და იმავე სიტყვით გამოიხატება – „მაზალ“ და სავარაუდოდ, სწორედ აქედან მომდინარეობს აღნიშნული ცვლილება.

მიგრაციული დიალექტიზმები: ქართულ ენობრივ სივრცეში მიგრაციის შემთხვევებში ძველი დიალექტის თავისებურებათა შენარჩუნება ახალ საცხოვრებელ გარემოში. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურდა **მო-** ზმნისწინის ა ხმოვნის ვარიანტის (**მა-ს**) ხმარება, **-ავ** თემის ნიშნის **-ამ** ვარიანტის გამოყენება, რაც ქუთაისელ ებრაელთა გარემომცველი ქართული დიალექტური სივრცისათვის უცხოა. ფაქტია: **მა-** და **-ამ** აღმოსავლური დიალექტური ვარიანტია. ეს დიალექტური არეალი იყო თავდაპირველი საცხოვრისი საქართველოში ებრაელთათვის.

„სიწმინდის“ ფაქტორი: ებრაელები ადგილობრივ არაებრაელთა მიერ შესრულებულ „ბიბლიის“ თარგმანებს ერიდებოდნენ რელიგიური თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ თარგმნეს მათ „თორა“ ქართულად (როგორც ითქვა, „თავსილი“ მე-12 საუკუნის თარგმანად მიიჩნევა); მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიის ქრისტიანული თარგმანი საუკუნეებით ადრე არსებობდა, ქრისტიანული კონოტაციის გამო ებრაელებმა მას თავი აარიდეს.

საიდუმლო ენა: ებრაელებს ჰქონდათ საიდუმლო/იუმორისტული ენა ებრაული სიტყვების გამოყენებით. როგორც პაპისმედოვი მიუთითებს 1945 წელს გამოცემულ წიგნში, „დროთა განმავლობაში მოვაჭრე ებრაელებს შემუშავებული ჰქონდათ თავიანთი პირობითი, სავაჭრო-საიდუმლო ენა; ამ ენას მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდი გამოყენება ჰქონდა ქართველ ებრაელ ვაჭართა შორის (პაპისმედოვი, 1945:69).

არქაიზმები: ებრაელებმა შეინარჩუნეს ისეთი ფორმები, რომლებიც ადგილობრივმა ქართველებმა დაივიწყეს. ამგვარი არქაიზმებია მაგალითად, ზმნური ფორმები **ჯდა, უნა**, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად **-მან** ნაირსახეობის გამოყენება.

ორთოგრაფია: ებრაელები საქართველოში არასოდეს იყენებდნენ ებრაულ ანბანს ქართული ან ებრაული ტექსტების ჩასაწერად. თუმცა, საინტერესო ფაქტზე მიუთითებს ბრედ საბინ ჰილი (2022) სტატიაში „ებრაელთა ენები ხელნაწერებსა და ბეჭდურ პროდუქციაში“:

იერუსალიმში 1892 წელს ქართველ ებრაელს სიმონ რიჟინაშვილს გამოუცია „ებრაულ-ქართული სასაუბრო“ სრულად ებრაული ანბანით ჩაწერილი.

თარგმანები: ებრაელთა ქართულში დასტურდება შემთხვევები, როცა „თავსილის“ თარგმანი მისდევს ებრაულ დედანს. მაგალითად, რეუვენ ენოხი მიუთითებს, რომ თავსილში არის წინადადება, სადაც ებრაული დედნის მსგავსად ნაწევარი არის გამოყენებული 8-ჯერ. „და შექმნა ღმერთმა იგი ორი მანათობელი იგი დიდები, იგი მანათობელი, იგი დიდი თანა საუფროსოდ იმა დღესა და იგი მანათობელი იგი პატარა საუფროსოდ იმა ღამესა და იგი მარსკვლავები“ (ენოხი, 2007, 67).

სხვა განსხვავებები: ებრაელთა ქართულს ახასიათებს ინტონაციური თავისებურებაც. ქართულში მახვილი სუსტია. სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში უმეტესად სუსტი დინამიკური მახვილი დასტურდება. ებრაელთა ქართულისათვის კი ტონური მახვილია დამახასიათებელი. არსებობს საქართველოში რამდენიმე დიალექტი, სადაც ასევე ტონური მახვილის ნიშნებია, თუმცა ებრაელთა ქართული მათგანაც სხვაობს (ლომთაძე, ენოხი, ჯანჯღავა 2023).

შეიძლება თამამად ითქვას, ებრაელთა ქართული ისეთივე მატარებელია მსოფლიოში გაფანტული ებრაელთა ენების საერთო ნიშნებისა, როგორც სხვა ებრაული ენები.

ამდენად, მეოცე საუკუნეში საქართველოში არსებული ტრადიციული კვლევებიდან გამომდინარე, ებრაელთა ქართული განიხილებოდა როგორც ქართული მეტყველების ერთ-ერთი ნაირსახეობა და ძირითადი შრომები ეხებოდა მისი თავისებურებების წარმოჩენას; სტანდარტული ქართულისა და დიალექტებისაგან მსგავსება-განსხვავებების ძიებას. ამგვარი კვლევების მიზანი იყო მისთვის ქართველურ ენობრივ სივრცეში სტატუსის მინიჭება (არის ის ქართულის დიალექტი, ქართული დიალექტების ქვედიალექტი, ეთნოლექტი, ეთნოსოციოლექტი...). 21-ე საუკუნეში ებრაელთა ქართულის კვლევებმა ახალი განზომილებები შეიძინა. ის განიხილება არა მხოლოდ ქართულის, არამედ „ებრაელთა ენების“ ერთ-ერთ ნაირსახეობად. ებრაელთა ენების შედარებითი ლინგვისტიკის შრომებში არსებული ებრაელთა ენებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები, არც ებრაელთა ქართულისათვისაა უცხო. ამ თვალსაზრისით ებრაელთა ქართულის გაგებამ, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ენის სტატუსი პირობითია, თანამედროვე ეტაპზე ახალი განზომილება შეიძინა და ორი მიმართულებით გახდა საინტერესო.

ბიბლიოგრაფია:

- Бабаликашви Н, 1971. *Еврейские надписи в Грузии (XVIII-XIX вв.)*, Тбилиси, "Мецნიერება"
- Benor, S, 2008, , "Towards a New Understanding of Jewish Language in the Twenty-First Century" 'Religion Compass 2.6: 1062–1080.
- Ben-Oren, G. 1993. *Special Characteristics of the Spoken Language of Georgian Jews*. PhD dissertation, The Hebrew University of Jerusalem (in Hebrew).

- Birnbaum, SA, 1937, “Judezmo” (in Yiddish), YIVO Bleter, vol. 11, pp. 192–98.
- Birnbaum, SA, 1971, ‘Jewish Languages’, Encyclopaedia Judaica, vol. 10, pp. 66–9.
- Blau, J, 1965, *The Emergence and Linguistic Background of Judaeo-Arabic*, University Press, Oxford, UK.
- Blondheim, D, 1925, *Les Parlers Judéo-romans et la Vetus latina: Étude Sur les Rapports Entre les Traductions Bibliques en Langue Romane Des Juifs au moyen âge et les Anciennes Versions*, Champion, Paris, France.
- Bunis, DM, 1981, ‘A Comparative Linguistic Analysis of Judezmo and Yiddish’, *International Journal of the Sociology of Language*, vol. 30, pp. 49–70.
- Bunis, David M. 2009. “Characteristics of Jewish Languages.” In *Encyclopedia of the Jewish Diaspora: Origins, Experiences, and Culture*, vol. 1: Themes and Phenomena of the Jewish Diaspora, ed. M. Avrum Ehrlich. Santa Barbara, CA: ABC CLIO, 167–171.
- Gold, D, 1985, ‘Jewish English’, in J Fishman (ed.), *Readings in the Sociology of Jewish Languages*, pp. 280–98, E.J. Brill, Leiden, The Netherlands.
- დუმბაძე, კ. 1979. *ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში*. ჯეჰანმარდი: 2: 28–37. თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება.
- ენოხი, რ. 2007. *ძველი ქართული ენის ელემენტები თავსილში*. *ქართველოლოგია*, 14: 44–73
- Enoch, Reuven. 2008. *Tavsili: The Traditional Oral Translation of the Bible in JudeoGeorgian (Genesis)*. Jerusalem: Magnes Press.
- Enoch, Reuven. 2016. *Jewish Georgian*. In *Handbook of Jewish Languages*, eds. Lily Kahn & Aaron D. Rubin. Leiden: Brill, 178–193.
- Estraikh, G, 2007, ‘Russian as a Post-Soviet Jewish Language: Brighton Beachish’, Conference Paper Presented at ‘Jewish Languages and Identity in a Globalized World’, University of Maryland.
- Cassuto, U, 1932, ‘Jidisch-italienisch’, Encyclopaedia Judaica, vol. 9, pp. 555–7.
- Weinreich, M, 1953, ‘Yidishkayt and Yiddish: On the Impact of Religion on Language in Ashkenazic Jewry’, in M Davis (ed.), *Mordecai M. Kaplan Jubilee Volume*, pp. 481–514, Jewish Theological Seminary, New York, NY.
- Weinreich, M, 1956, ‘The Jewish Languages of Romance Stock and their Relation to Earliest Yiddish’, *Romance Philology*, vol. 9, pp. 403–28.
- Weinreich, M, Reyzen, Z, & Broyde, K, (eds.), 1931, *Di ershte Yidishe shprakh-konferents: barikhtn, dokumentn un opklangen fun der Tshernovitsker konferents, 1908*, YIVO, Vilne, Lithuania.
- Wexler, P, 1981, ‘Jewish Interlinguistics: Facts and Conceptual Framework’, *Language*, vol. 57, no. 1, pp. 99–145.
- კვირიკაშვილი ა., 2023. *ხაიფაში მცხოვრები ქართველი ებრაელების მეტყველება, ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში, თსუ გამომცემლობა*. გვ. 140-145
- ლერნერი კ. 2008, *Евреи в Грузии, от Эллинизма до позднего феодализма*, იერუსალიმი
- Lowenstein, SM, 2000, *The Jewish Cultural Tapestry: International Jewish Folk Traditions*, pp. 1–67, Oxford University Press, New York, NY.

Lowenstein, SM, 2000, *The Jewish Cultural Tapestry: International Jewish Folk Traditions*, pp. 1–67, Oxford University Press, New York, NY.

ლომთაძე, თ. 2005. *ქუთაისური ქართული*, აწსუ გამომცემლობა

ლომთაძე თ. 2010. *თანამედროვე ქართული სოციოლექტები*, თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი.

Lomtadze, Tamari & Reuven Enoch. 2019. *Judeo-Georgian Language as an Identity Marker of Georgian Jews (The Jews Living in Georgia)*. *Journal of Jewish Languages*, Vol. 7, Issue 1, (June 2019): 1-27.

ლომთაძე, ენოხი, ჯანჯღავა 2023. *ქართველ ებრაელთა ინტონაციისათვის*, ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში, თსუ გამომცემლობა.

მამისთვალაშვილი ე. 2014. *ქართველ ებრაელთა ისტორია*, თბილისი,

მელიქიშვილი, გ. 1970, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ 1, რედაქტორი აკად. გ. მელიქიშვილი, თბილისი, 1970, გვ. 452-453

Mieses, M, 1915, *Die Entstehungsursache der jüdischen Dialekte*, R. Löwit Verlag, Vienna, Austria.

Morag, S, Bar-Asher, M, & Mayer-Modena, M (eds.), 1999, *Vena Hebraica in Judaeorum Linguis: Proceedings of the 2nd International Conference on the Hebrew and Aramaic Elements in Jewish Languages*, Centro Studi Camito-Semitici di Milano, Milan, Italy.

Paper, H, (ed.), 1978, *Jewish Languages: Themes and Variations*, Association for Jewish Studies, Cambridge, MA.

პაპისმედოვი ი. 1945. *საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიისათვის*, საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 3, თბილისი

Rabin, C, 1981, 'What Constitutes a Jewish Language?' *International Journal of the Sociology of Language*, vol. 30, pp. 19–28.

Rabin, C, et al. 1979, 'The Jewish Languages: Commonalities, Differences and Problems' (in Hebrew), *Pe'amim*, vol. 1, pp. 40–57.

Spolsky, B, & Benor, SB, 2006, 'Jewish Languages', in K Brown (ed.), *Encyclopedia of Language and Linguistics*, 2nd edn, vol. 6, pp. 120–4, Elsevier, Oxford, UK.

Fishman, 1981, 'The Sociology of Jewish Languages from the Perspective of the General Sociology of Language: A Preliminary Formulation', *International Journal of the Sociology of Language*, vol. 30, pp. 5–18

წერეთელი, ვ . 1979. *"ებრაელის" აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი ქართულში*. თსუ-ს შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ.206, 1979, გვ.9-24.

შამელაშვილი ი. 2021 *ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველება*. დიალექტოლოგიური კრებული გვ 90-107. თსუ გამომცემლობა.

ყაუხჩიშვილი, ს. (რედ). 1955. *ქართლის ცხოვრება - ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით* ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი

ყაუხჩიშვილი, ს. (რედ). 1973. *ქართლის ცხოვრება* - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 4, თბილისი

ჭიჭინაძე, ზ. 1904, *ქართველი ებრაელები საქართველოში*, თბილისი

Gindin, T, 2002, 'Judeo-Iranian', available at <http://www.jewish-languages.org/judeo-iranian.html>.

Harris, TK, 1994, *Death of a Language: The History of Judeo-Spanish*, University of Delaware Press, Newark, NJ.

Hary, B, & Wein, M, 2005, *Christian- and Jewish-Defined Languages in Religious and Nationalist Contexts*, presented at Association for Jewish Studies, Washington, DC.

Tamar Lomtadze, Doctor of Philology, TSU

Giorgi Gogolashvili, Doctor of Philology, Professor, TSU

Judeo-Georgian as a Constituent Part of the Georgian Linguistic Space and of Jewish Languages

Abstract

Traditional scholarship treated Judeo-Georgian as a variety of Georgian language and the research primarily dealt with its peculiarities as well as differences and similarities between Judeo-Georgian, standard Georgian and Georgian dialects. The research aimed at defining the status of Judeo-Georgian in the Georgian linguistic space. In other words, scholars tried to answer the question whether it was a dialect of the Georgian language, a subdialect of Georgian dialects, ethnolect or ethnosociolect. Recently, linguistic study of Judeo-Georgian has acquired new dimensions. It is treated not only as a variety of Georgian language but as one of the varieties of Jewish languages as well. Common features of Jewish language varieties identified by comparative Jewish linguistic studies is also peculiar to Judeo-Georgian too. Consequently, Judeo-Georgian is currently being studied in comparison with other Jewish languages. Theoretical understanding of Judeo-Georgian took a new turn in the 21st century. Needless to say, the question regarding the status of Judeo-Georgian speech is still relevant from the standpoint of Georgian dialectology but it is also urgent to explore it from the perspective of comparative Jewish linguistic studies.

Judeo-Georgian can be classified as a language only conditionally but it can be regarded as a Jewish language variety similar to Jewish English.